

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი  
მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლა  
მაკა ბულიეშვილი

**ჰიპერტენზიის პათოგენეზის ზოგიერთი ასპექტები მენოპაუზურ ქალებში**  
ანოტაცია

**კვლევის მიზანი:** ჰიპერტენზიის განვითარება ზოგიერთი მექანიზმების დადგენა მენოპაუზისპერიოდის ქალებში.

დასკვნა

1. რეპროდუქციული პერიოდის ქალებში პრევალირებს ჰიპერტენზია პირველი ხარისხის, მენოპაუზის პერიოდში - პრევალირებს მეორე ხარისხის ჰიპერტენზია.

2. რეპროდუქციული პერიოდის ქალებში ჰიპერტენზია ვითარდება არა ესტროგენდამოკიდებული მექანიზმით; პოსტმენოპაუზურ ქალებში ჰიპერტენზია გამოვლინდა სისხლში ესტრადიოლის განსაკუთრებით დაბალი შემცველობის ფონზე. პოსტმენოპაუზის პერიოდის ქალებში განსაკუთრებით დაბალი ესტროგენის შემცველობით დაფიქსირდა ლიპიდური მეტაბოლიზმის დარღვევები; მენოპაუზის პერიოდის ჰიპერტენზიულ ქალების სისხლში დაფიქსირდა ინაქტივირებული ბეტა-ადრენორეცეპტორების რაოდენობის ზრდა.

3. ჰიპერტენზიის პათოგენეზში რეპროდუქციული ქალების 53.8%-ში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სხეულის მასის ინდექსის ზრდა, მაშინ როდესაც მენოპაუზის ქალებში სიმსუქნის პათოგენეზური როლი გამოვლინდა ქალების 82.1%-ში.

4. ლიპიდური მეტაბოლიზმის ცვლილებები ჰიპერტენზიის განვითარებაში პათოგენეტიკურ როლს ასრულებს.

5. ჰიპერტენზიული ქალების სისხლში გამოვლენილია NO-ს შემცველობის ესტროგენდაკავშირებული ცვლილებები; დადგენილია NO-ს პათოგენეზური როლი ჰიპერტენზიის განვითარებაში.

8. პოსტმენოპაუზური პერიოდის ჰიპერტენზიული ქალების სისხლში გამოვლენილია დისბალანსი პრო- და ანტიოქსიდანტურ სისტემებს შორის რეპროდუქციული პერიოდის ჰიპერტონული ქალების სისხლში იმავე პარამეტრების მნიშვნელობებთან შედარებით.

9. რეპროდუქციული პერიოდის ჰიპერტენზიულ ქალების სისხლში არ გამოვლენილა ენდოთელიანის შემცველობის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ცვლილებები ჯანმრთელ ქალებთან შედარებით.

10. მენოპაუზის პერიოდის ჰიპერტენზიულ ქალებში სისხლში ენდოთელინის დონე 7% -ით, Ang-2-ის დონე 12% -ით აღემატება ჯანმრთელი ქალებისათვის დამახასიათებელ მაჩვენებლების დონეს.

ენდოთელინის კონცენტრაცია მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ჯანმრთელი მენოპაუზისა და რეპროდუქციული პერიოდის და რეპროდუქციული პერიოდის ჯანმრთელი და ჰიპერტენზიული ქალების სისხლში.

ანგიოტენზინ 2-ის კონცენტრაცია მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ჯანმრთელი მენოპაუზისა და რეპროდუქციული პერიოდის და რეპროდუქციული პერიოდის ჯანმრთელი და ჰიპერტენზიული ქალების სისხლში.